



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6551
08/08/2018

6551-09-2-201808080908



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

№12730 წერილის (02.08.2018) პასუხად გაცნობებთ, რომ 1-2 პუნქტებში დასმული საკითხების დამუშავება, მასშტაბურობიდან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეულ დროს. ამიტომ მოგვიანებით მოგაწვდით. რაც შეეხება სხვა საკითხებს:

მე-3 პუნქტში ითხოვთ, რომ დოკუმენტური შემოწმების სიაში დავამატოთ ინფორმაცია გამოვლენილი დარღვევებისა და მათზე რეაგირების შესახებ. თქვენ 09/5893 წერილთან ერთად გამოგეგზავნათ სანქციების ცხრილი, სადაც მოცემულია ბიზნესოპერატორთა ჩამონათვალი და დარღვევები, რომლებიც დაფიქსირდა დოკუმენტური შემოწმების დროს. კოდექსის შესაბამისად, **დოკუმენტური შემოწმების დროს იწერება ასევე გაფრთხილება**, ხოლო ჯარიმა ნიშნავს, რომ ბიზნესოპერატორთან დოკუმენტური შემოწმების დროს გამოვლინდა შეუსაბამობა.

შენიშვნა: აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ინსპექტირებისას იწერებოდა მხოლოდ კოდექსის 68 მუხლი, დანარჩენი მუხლები ეკუთვნის დოკუმენტურ შემოწმებასა და ზედამხედველობას

მე-4 პუნქტთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ 1730 ბიზნესოპერატორთან ჩატარებული ინსპექტირებისას გამოვლენილი შეუსაბამობები არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი დაჯარიმდა. **ინსპექტირებისას** გამოვლენილ არაკრიტიკულ შეუსაბამობებზე გაიცემა შესაბამისი მითითებები და ბიზნესოპერატორს განესაზღვრება გონივრული ვადა აღნიშნული შეუსაბამობების გამოსასწორებლად. ასეთ შემთხვევაში ჯარიმა არ იწერება და, შესაბამისად, ვერ მოხვდებოდა სანქციების სიაში.

მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სანქციებში მითითებულია „გეოკონდიტერი“ (იმპორტიორი), ხოლო ინფორმაცია მწარმოებლისა და პროდუქტის სახელწოდების შესახებ მოცემულია მონიტორინგის (ნიმუშების) ცხრილში (გრაფა N23). დამატებით გიგზავნით შპს გეოკონდიტერის დოკუმენტური შემოწმების აქტს.

მე-6 პუნქტი: ი.მ. ოლეგი მალიაძის საქმიანობის მისამართთან დაკავშირებით მონიტორინგის ცხრილში მექანიკური შეცდომაა და აღნიშნული ბიზნესოპერატორი ფუნქციონირებს მისამართზე: თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N23

მე-7 პუნქტი: ლაბორატორიულად შემოწმებული ვეტპრეპარატების ჩამონათვალი (მათ შორის, ა. პროდუქციის დასახელება, მწარმოებელი, სერიის ნომერი, ვარგისიანობის ვადა, გამოცდის ანგარიშის ნომერი და თარიღი მოგეწოდათ **09/5893 წერილთან ერთად** ცხრილის სახით.

ბ. რაც შეეხება შემოწმების პარამეტრებს, კვლევები ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იმ ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური, ოპტიკური და მიკრობიოლოგიური გამოცდის მეთოდებით და მხოლოდ იმ ვალიდირებული მეთოდებით, რომელიც აღწერილია მწარმოებლის ნორმატიულ დოკუმენტებში ან/და საერთაშორისოდ აღიარებულ რომელიმე ფარმაცოპიის (ფარმაცოპიის (US Pharmacopia (USP), European Pharmacopoea, International Pharmacopeia ან British Pharmacopoeia (BP)) ბოლო რედაქციის შესაბამის მონოგრაფიაში რომლის **გასაჯაროების უფლება აქვს მხოლოდ მწარმოებელს.**

გ. ლაბორატორიული დასკვნის თარიღი იხილეთ ცხრილის გრაფაში - პრეპარატის სახელწოდება, მწარმოებელი, სერიის ნომერი, ვარგისობის ვადა, **გამოცდის ანგარიშის N და თარიღი**


დ. 2018 წლის მე-2 კვარტალში აღებული ვეტერინარული პრეპარატების ლაბორატორიული კვლევის შედეგად დარღვევა არ გამოვლენილა.

ე. სპეცკონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვის და გამოყენების წესის დარღვევისთვის გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, კერძოდ, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარით (საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 69 მუხლი).

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას ქვეპროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედობა“ ფარგლებში განხორციელებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის შედეგების ამსახველი დეტალური ინფორმაციის შესახებ, მომდევნო კვარტალური ანგარიშის წარმოდგენისას გათვალისწინებული იქნება და დაემატება შესაბამისი გრაფა-პარტის ნომერი.

მისასალმებელია თქვენი დაინტერესება ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით, თუმცა, გაცნობებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს სააგენტოს საიტის რეკონსტრუქცია და თქვენს რეკომენდაციებს პროცესის დასრულების შემდეგ გავითვალისწინებთ.

დემნა ხელაია



სააგენტოს უფროსი - მ.შ.